ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ #22

ქ. თბილისი ივნისი 2023 წელი

ერთის მხრივ, სსიპ შემოქმედებითი საქართველო, წარმოდგენილი მისი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ალექსანდრე გრიგალაშვილის სახით, შემდგომში წოდებული „შემსყიდველად“ და მეორეს მხრივ, შპს „რუმს ჰოტელს ლაბი“, წარმოდგენილი მისი დირექტორის ვალერი ჩეხერიას სახით, შემდგომში წოდებული ,,მიმწოდებლად”, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონის ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" მე-3 მუხლის I პუნქტის ,,ქ" ქვეპუნქტის, მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,ვ” ქვეპუნქტისა და ,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს #13 ბრძანების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები ხელშეკრულებაში

გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „მომსახურება“ - წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანია, სსიპ შემოქმედებითი საქართველოს შემოქმედებითი ინდუსტრიების მიმართულების ხელმძღვანელის 2023 წლის 30 მაისის #04/72/03/23 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, სსიპ შემოქმედებითი საქართველოს მიერ, მიმდინარე წლის 28 ივნისს, იუნესკოს კულტურული მრავალფეროვნების საერთაშორისო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის - „შემოქმედებითი გარდასახვა“-ს ფარგლებში დაგეგმილი ფორუმისთვის სასტუმროს მომსახურების შესყიდვა (CPV კოდით 55100000), თანმდევი ტრანსფერის მომსახურებით, შემდეგი განრიგით: 1) Ragnar Siil - 26-ივნისი - 27 ივნისი (აეროპორტი-სასტუმრო რუმს თბილისი-აეროპორტი) ჩამოფრენა, 26 ივნისი 04:40 საათი. Airbaltik, რეისის ნომერი BT 724 გაფრენა, 27 ივნისი 05:25 საათი, სასტუმროში მიკითხვა 1:30-ზე 2) Gail Caig - 27 ივნისი - 29 ივნისი (აეროპორტი-სასტუმრო რუმს თბილისი-აეროპორტი) ჩამოფრენა, 27 ივნისი 03:15 საათი. Turkish airlines, TK386, გაფრენა, 29 ივნისი 17:30 საათი, სასტუმროში მიკითხვა 13:30-ზე. 3) Arthur LE Gall - 27 ივნისი- 29 ივნისი (აეროპორტი-სასტუმრო რუმს თბილისი-აეროპორტი) ჩამოფრენა - 27 ივნისი 16:40 სთ, Turkish Airlines, TK382, გაფრენა - 29 ივნისი 05:20 საათი, სასტუმროში მიკითხვა 1:40 საათზე.

2.2.

N	განთავსების თარიღი	სტუმრის სახელი	ფასი
1	განთავსების-თანმდევი ტრანსფერის მომსახურება 25-27.06.23	Siil Ragnar	650.60

2	განთავსების-თანმდევი ტრანსფერის მომსახურება 26-29.06.23	Gail Caig	1100.60
3	განთავსების-თანმდევი მომსახურება 27-29.06.23	Le Gall Arthur	800.60
	ჯამი		2 551.80

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება ინვოისის გათვალისწინებით შეადგენს: 2 551.80 (ორი ათას ხუთას ორმოცდათერთმეტი თეთრი).

3.2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს, წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გასაწევ/გაწეულ ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადსა და მოსაკრებელს.

3.3. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორება განხორციელდება ორგანიზაციის საგრანტო სახსრებიდან (კოდი N2187).

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი

4.1. მოწოდების ვადა: 25.06.2023წ - 29.06.2023წ

4.2. მომსახურების გაწევის ადგილია: ქ. თბილისი, კოსტავას N14.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მიწოდებული შესყიდვის ობიექტი შემსყიდველისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება მხარეთა მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირების მიერ მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ის გაფორმებისა ან და მიმწოდებლის მიერ საგადასახადო ანგარიშფაქტურ(ებ)ის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) წარმოდგენის შემდეგ.

5.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერი პირ (ებ)ი შემსყიდველის მხრიდან, არიან: დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, შემოქმედებითი ინდუსტრიების მიმართულების ხელმძღვანელი და შემოქმედებითი ინდუსტრიების მიმართულების შესაძლებლობების განვითარების პროგრამის კოორდინატორი.

6. ანგარიშსწორების პირობები

6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში, ლარ(ებ)ში.

6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება ერთჯერადად მოწოდებული შესყიდვის ობიექტის შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში,

7. შემსყიდველის უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველს უფლება აქვს მოსთხოვოს მიმწოდებელს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიმწოდებლის ყველა ვალდებულების შესრულება

7.2. შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს მის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვითა და ვალებულებების შესრულებით, სასტუმრო მომსახურებების ღირებულება.

7.3. შემსყიდველი ვალდებულია მოითხოვოს მიმწოდებელისგან ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება.

7.4. შემსყიდველი ვალდებულია დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.

8. მიმწოდებლის უფლება-მოვალეობანი

8.1. მიმწოდებელს უფლება აქვს მოსთხოვოს შემსყიდველს ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად და დადგენილი წესით მოწოდებული სასტუმრო მომსახურებების ღირებულების ანაზღაურება.

8.2. მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულება.

8.3. მიმწოდებელი ვალდებულია სასტუმრო მომსახურებების მიწოდების პროცესში არსებული შეფერხების შესახებ აცნობოს შემსყიდველს.

8.4. განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზების გამოსწორება;

8.5. მიმწოდებელი ვალდებულია სასტუმრო მომსახურებების მიწოდების პროცესში რაიმე ხარვეზის გამოვლენის შემთხვევაში, უზრუნველყოს მისი გამოსწორება, საჭიროების შემთხვევაში გაწიოს საჭირო ქმედება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯების გარეშე.

9. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

9.1. შემსყიდველი უფლებამოსილია მომსახურების მიწოდებისას განახორციელოს კონტროლი (ინსპექტირება), რომლის მიზანია შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებთან, პირობებთან და არსებულ მოთხოვნებთან.

9.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა ხარვეზის აღმოფხვრა.

9.3. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების კონტროლსა და ინსპექტირებაზე პასუხისმგებელი პირ(ებ)ი არიან შემოქმედებითი ინდუსტრიების მიმართულების ხელმძღვანელი და შემოქმედებითი ინდუსტრიების მიმართულების შესაძლებლობების განვითარების პროგრამის კოორდინატორი.

9.4. ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების სხვა ვალდებულებებისაგან.

10. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

10.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

10.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

10.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება მხარეების მიერ კვალიფიციური ელ. ხელმოწერის ან კვალიფიცური ელ. შტამპით დადასტურების თარიღიდან და მოქმედებს 2023 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით.

12. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

12.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ღირებულების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.

12.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

12.5. მხარე ვალდებულია გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

12.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

13. ფორს-მაჟორი

13.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე არცერთი მხარე არ აგებს პასუხს მეორე მხარის წინაშე და თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან საკუთარი ვალდებულებების, ან არასათანადოდ შესრულების გამო, თუ ამის მიზეზი გახდა საგანგებო ხასიათის მქონე გადაულახავი ძალა, რომლის წარმოშობაზე ხელშეკრულების მონაწილე მხარეები პასუხს არ აგებენ და რომლის არსებობის ან წარმოშობის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულების დადების მომენტში არ შეეძლოთ სცოდნოდათ.

13.2. გადაულახავ ძალად ჩაითვლება შემდეგი (და არა მხოლოდ): სტიქიური უბედურებანი (ხანძარი, წყალდიდობა, მიწისძვრა, შტორმი და სხვა, გამოცხადებული ან გამოუცხადებელი ომი, სამოქალაქო არეულობა, ნებისმიერი სახის საომარი მოქმედებები, საგანგებო მდგომარეობა; ეპიდემიები; ბლოკადა ან ნებისმიერი ეკონომიკური ემბარგო; ხელისუფლების ნებისმიერი ერთეულის ან ხელისუფლების მიერ საამისოდ კომპეტენტურად განსაზღვრული ორგანოს გადაწყვეტილება და ისეთი ნორმატიული აქტების გამოცემა, რომლებიც ზემოქმედებენ მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და ცვლიან, წყვეტენ, ან აჩერებენ წინამდებარე ხელშეკრულების დებულებებსა და პირობებს.

13.3. მხარეები თანხმდებიან, რომ საქართველოში არსებული პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე ფორს-მაჟორულ მოვლენასთან გათანაბრებულია მესამე პირთა ბრალეული, ან არაბრალეული ქმედებანი, რომლებიც შეუძლებელს ხდიან მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულებას. არსებულ პოლიტიკურ-ეკონომიკურ მდგომარეობაში იგულისხმება ქვეყანაში არსებული კრიმინოგენული სიტუაცია, ენერგეტიკული კრიზისი და პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე სხვა გარემოებები.

13.4. ფორს-მაჟორული გარემოებების შეწყვეტისთანავე მხარეები დაუყოვნებლივ აგრძელებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

13.5. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის პირობებში, ვალდებულებების შესრულების პერიოდი შეჩერდება იმ დროით, რა დროსაც გასტანა ასეთმა გარემოებამ, თუ მხარეთა შორის არ იქნა მიღწეული სხვაგვარი შეთანხმება.

14. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

14.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი ყველა დავა ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15. სხვა პირობები

15.1. არცერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.2. წინამდებარე ხელშეკრულების ყველა პირობა ვრცელდება და სავალდებულოა მხარეთა უფლებამონაცვლეთათვის, სამართალ-მემკვიდრეთათვის, წარმომადგენელთათვის, რწმუნებულებისა და მუშაკებისათვის.

15.3. ხელშეკრულება შედგენილია ელექტრონული ფორმით ქართულ ენაზე და ხელმოწერილია

„ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად, რომლის ელექტრონული ეგზემპლარი ორიგინალია, ხოლო ამონაბეჭდი ელექტრონული დოკუმენტის ასლია და მას ელექტრონული დოკუმენტის თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

16. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	,,მიმწოდებელი“
სსიპ შემოქმედებითი საქართველო	შპს „რუმს ჰოტელს ლაბი“
ს/კ 204583842	ს/კ 404676169
მისამართი: ქ. თბილისი, დოლიძის ქ. კორპ. N28	მისამართი: მ. კოსტავას N 14
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი	მ/ბ სს. საქართველოს ბანკი
	ბ/კ BAGAGE22
	ანგ: GE10BG0000000549828058
	დირექტორი
ალექსანდრე გრიგალაშვილი	ვალერი ჩეხერია

LEPL CREATIVE GEORGIA Digitally signed by LEPL CREATIVE GEORGIA Date: 2023.06.23 16:19:22 +04'00'

Valeri Chekheria 01017011384 Digitally signed by Valeri Chekheria Date: 2023.06.23 14:59:58